



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 12/55

2023 წლის 24 თებერვალი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს 2023 წლის 11 აგვისტოს, №10/422322341-42 განცხადებით მომართა შპს „ი.ა.თ“-ის წარმომადგენელმა რომანი სესკურიამ და მუნიციპალიტეტში ინვესტიციის განხორციელების მიზნით ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, მამუკა კაცაძის ქუჩა №39-ში, ორგანიზაციის კუთვნილი მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ 04.01.13.306.) შესაბამისი ფუნქციური ზონის მინიჭება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად წარმოადგენს არასამშენებლო (გამწვანებულ) ტერიტორიას, ხოლო შპს „ი.ა.თ“-ის მიერ, აღნიშნული მიწის ნაკვეთის განვითარების მიზნით მოთხოვნილია ტერიტორიას მიენიჭოს საქმიანი ზონის (შზ-3) სტატუსი.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის, №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 და მე-20 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1.

დაწყებულ იქნას ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში შესატანი ცვლილების განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში შესატანი ცვლილების საჯარო განხილვა (ზეპირი მოსმენის ჩატარებით ან/და ელექტრონული ფორმით). ასევე საბოლოო პროექტის შემუშავების უზრუნველყოფა და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი3.

განკარგულება ძალაშია 2023 წლის 24 ოქტომბრიდან.

მუხლი4.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3)

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეზურავა